

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის

დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ამავე უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2 დებულება განსაზღვრავს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

ბიბლიოთეკა წარმოადგენს საუნივერსიტეტო საინფორმაციო საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა, მაგისტრთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო მომსახურებას

სტუ-ს ფაკულტეტებზე არსებული ბიბლიოთეკები წარმოადგენენ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფილიალებს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა კოორდინაციას უწევს ფაკულტეტების ბიბლიოთეკების მუშაობას, ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფს მათ დაკომპლექტებას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მუშაობა განისაზღვრება წლიური გეგმით, რომელსაც ამტკიცებს საბიბლიოთეკო საბჭო.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წიგნად გამოცემათა შეძენას, აღრიცხვას, მოვლა-შენახვასა და გამოყენებას, რისთვისაც მას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველწლიურად გამოუყოფს საფინანსო წყაროს, დამტკიცებულს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ამავე წესით, წელიწადში ორჯერ ადმინისტრაციისაგან იღებს ფინანსურ წყაროს პერიოდულ გამოცემათა შექმნისათვის.

ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი ფინანსების განკარგვაში ბიბლიოთეკის ღირეცია ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი საფინანსო წყაროს გადანაწილება ხდება ფაკულტეტთა ინტერესის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და საბიბლიოთეკო საბჭოს შეთანხმების საფუძველზე.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობის ერთჯერადი ვადაა ერთი სემესტრი – ექვსი თვე, რის შემდეგაც საგადასახდელი საბიბლიოთეკო ერთეულის ხელახალი რეგისტრაცია.

ბიბლიოთეკის ფონდში წიგნის ერთი ან ორი ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში მისი გამოყენება აბონემენტის მიერ ხდება ადგილზე – სამკითხველო დარბაზში.

უნივერსიტეტში დაცული დისერტაციებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ სამკითხველო დარბაზებში.

ბიბლიოთეკა ემსახურება მხოლოდ სტუ-ს სტუდენტებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა აწვობს სხვადასხვა სამეცნიერო თუ სასწავლო ინტერესთა გათვალისწინებით მუდმივმოქმედ და პერიოდულ გამოფენებს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ახორციელებს გაცვლით პროგრამებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის (ბშა) ფარგლებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა წიგნის დაკარგვის შემთხვევაში აბონენტისგან მოითხოვს:

- ა) ამავე წიგნის ქსეროასლს (აკინძული, მაგარ ყდაში ჩასმული);
- ბ) ამავე წიგნის ელექტრონულ ვერსიას;
- გ) სხვა წიგნს, რომელიც ფონდისთვის აუცილებელს, საინტერესოს წარმოადგენს;

დ) აბონენტის დაჯარიმებას დაკარგული წიგნის ათმაგი ღირებულებით. წიგნის უნიკალურობის შემთხვევაში საჯარიმო თანხა იზრდება ღირებულების ასმაგ ოდენობამდე.

3. ბიბლიოთეკის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის დირექტორი, რომელსაც ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და არის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში სპეციალისტების (ბიბლიოთეკარების) რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს ან თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგინებით.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექცია და ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ურთიერთშეთანხმებით ახორციელებენ ფაკულტეტზე ბიბლიოთეკარის მიღებასა თუ გათავისუფლებას.

ბიბლიოთეკის დირექტორი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

ბიბლიოთეკის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს საბიბლიოთეკო საბჭო.

4. დასკვნითი დებულებები

დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის შემთხვევაში.